

თეზისის წარმოდგენის წესები

თეზისის წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 20 აპრილი, 2010 წ.

წარმოდგენისათვის სწრაფი და იოლი გზაა ელ-ფოსტა: gra@georonet.org.ge

გთხოვთ, გაითვალისწინოთ თეზისის წარმოდგენის წესები. აღნიშნული წესების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი თეზისი არ იქნება მიღებული განსახილველად.

1. თეზისი არ მიიღება, იმ შემთხვევაში, თუ ის არ იქნება წარმოდგენილი ჩამოთვლილი წესების, ინსტრუქციებისა და იმ ფორმატის შესაბამისად. 2010 წლის 20 აპრილის შემდეგ თეზისები **არ მიიღება**.

2. ყველა თეზისი მოწოდებული უნდა იქნას ელ-ფოსტის საშუალებით მისამართზე: gra@georonet.org.ge.

3. ყველა თეზისი წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ (შრიფტი LitNusx) და ინგლისურ (TNR) ენებზე;

4. თეზისში მოცემულ ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს **250 სიტყვას** (აღნიშნული ზღვარი არ მოიცავს თეზისის, დაწესებულების და ავტორების დასახელებას);

5. ავტორთა ჩამონათვალის დასაწყისში პირველად მოხსენიებული უნდა იქნას მომხსენებლის გვარი;

6. ერთი და იგივე მომხსენებლის გვართ ერთზე მეტი თეზისი არ მიიღება;

7. დაწესებულების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ვრცელდება ყველა ავტორზე. ინფორმაცია მოიცავს დაწესებულებას, ქალაქს, ქვეყანას, მაგრამ არ მოიცავს დეპარტამენტს, მიმართულებას, ლაბორატორიას და ა.შ.

8. თეზისის შედგება 4 ნაწილისაგან:

მიზანი

მეთოდები

შედეგები

დასკვნა

ნაწილში „მიზანი“ უნდა აისახოს წარმოდგენილი ნაშრომის მიზნები. ნაწილი „მეთოდები“ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კვლევის მასალისა და მეთოდების (მაგ: პაციენტების რიცხვი და ტიპი) შესახებ. ნაწილში „შედეგები“ უნდა უნდა შეჯამდეს მიღებული მონაცემები. ყველგან სადაც ეს შესაძლებელია, მიუთითეთ რიცხვითი მნიშვნელობები სტატისტიკური მონაცემებითა და სარწმუნოების მაჩვენებლით. ნაწილში „დასკვნები“ უნდა ჩამოითვალოს სამუშაოს შედეგად მიღებული დასკვნები.

9. თეზისი არ უნდა შეიცავდეს ცხრილებს, დიაგრამებს და სხვა სახის ილუსტრაციულ მასალას.

10. სადაც შესაძლებელია გთხოვთ, მიუთითეთ ეტიკის კომიტეტი, რომელთანაც შეთანხმებული იყო აღნიშნული კვლევის ჩასატარება.

11. თუ თქვენი შრომა დაფინანსებული იყო რომელიმე ორგანიზაციის მიერ, მიუთითეთ თეზისის დასასრულს მადლობის სახით. ფინანსირების სხვა წყაროებიც შესაძლებელია აღინიშნოს ამავე სახით.

12. ახალგაზრდა მკვლევარების ჯილდოზე განაცხადი მიიღება 35 წელზე ნაკლები ასაკის პირებისაგან, რომელთაც წარმოადგინეს თეზისი. გთხოვთ მიუთითეთ, გაქვთ თუ არა სურვილი მიიღოთ ახალგაზრდა მკვლევარის ჯილდო.

13. ავტორები წერილობითი ფორმით მიიღებენ შეტყობინებას იმის თაობაზე, კონგრესის სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოწონებულ იქნა თუ არა მათ მიერ გამოგზავნილი თეზისი. თეზისის მოწონების შემთხვევაში, მოხსენების ავტორი უნდა დარეგისტრირდეს კონგრესზე, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი თეზისის საბოლოო მიღება.

14. ყველა თეზისი, რომელიც მიღებულ იქნება კონგრესზე მოსახსენებლად, სარედაქციო განხილვის შემდეგ გამოიცემა კონგრესის თეზისთა კრებულში. მას ყველა მონაწილე მიიღებს უფასოდ.